„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება	კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა	ხატია ჭალიძე - მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების პედაგოგი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს?	თანამედროვე სამყაროში უფრო მართვადი და პროგნოზირებადი გახდა საკუთარი ფინანსები, ბიუჯეტის შედგენა, ფულის დაზოგვა, გადანაწილება. თუმცა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის თუ როგორ მართოს საკუთარი ფინანსები, ასევე, როგორ დაიცვას თავი ფინანსური თაღლითობისგან. უმეტესობას უჭირს ფინანსურ პრობლემებთან გამკლავება, სწორად გადანაწილება. მნიშვნელოვანია რომ ამ უნარების ჩამოყალიბებას სკოლის ასაკიდანვე შევუწყოთ ხელი. „ფინედუს“ კუთხე მოსწავლეებისთვის იქნება სივრცე, სადაც მარტივად და საინტერესოდ მიიღებენ ინფორმაციას ფულის მართვის, დაზოგვის, ბანკების, ბიუჯეტის, გადასახადებისა და უსაფრთხო ფინანსური ქცევის შესახებ. ვიზუალური მასალები, სამაგიდო თამაშები, საინფორმაციო ბროშურები, კომიქსები მათ დაეხმარება რთული თემების უკეთ გააზრებაში; გაზრდის ინტერესს ფინანსური საკითხებისადმი. ხელს შეუწყობს, გაიაზრონ პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილების მნიშველობა; უსაფრთხოდ და გააზრებულად გამოიყენონ საბანკო პროდუქტები. „ფინედუს“ კუთხე ხელს შეუწყობს: მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას; დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებას; ფინანსური და ეკონომიკური საკითხებისადმი ინტერესის გაზრდას; ინფორმირებას ფინანსური თაღლითობის პრევენციის გზების შესახებ და მოსწავლეების ფინანსურად წიგნიერ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ფინანსური წიგნიერების კუთხე სკოლაში შექმნის გარემოს, სადაც

	მოსწავლეები ყოველდღიურად შეხვდებიან მნიშვნელოვან ინფორმაციას და ნელ-ნელა ჩამოუყალიბდებათ ჯანსაღი ფინანსური ჩვევები. ეს კი მომავალში დაეხმარებათ იყვნენ უფრო დამოუკიდებელი, ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	ფინანსური წიგნიერების კლუბის შექმნა (15.09.2026- 15.06.2027) • სამუშაო ჯგუფის ფორმირება და ფინანსური განათლების კლუბის მიზნების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის; • საბაზო და საშუალო საფეხურის პარალელურ კლასებს შორის შეჯიბრების მოწყობა სამაგიდო თამაშის „ფინანსური ასოციაციობანას“ გამოყენებით; • მსოფლიო დაზოგვის დღესთან დაკავშირებით „ფინედუს“ დესპანის მოწვევა კლუბის წევრებთან შესახვედრად; • მსოფლიო დაზოგვის დღესთან დაკავშირებით სასკოლო კონფერენციის მოწყობა კლუბის წევრების მონაწილეობით ფულის დაზოგვისა და სწორად მართვის საკითხების შესახებ; • ფინანსური წიგნიერების კლუბის წევრების მიერ საინფორმაციო ფლაერების/ბუკლეტების შექმნა და სასკოლო საზოგადოებაში გავრცელება ფულის დაზოგვისა და სწორად მართვის მნიშვნელობის შესახებ;

	• ფინანსური განათლების კლუბის მიერ საინფორმაციო გზავნილების გაზიარება ფინანსური უსაფრთხოების შესახებ სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის ვებ-გვერდის გამოყენებით. • ფინანსური განათლების კლუბის წევრების მიერ თანატოლგანამანათლებლობის ფარლგებში დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან საიფორმაციო შეხვედრების მოწყობა ფინანსური უსარფთხოების მნიშვნელობაზე და თაღლითობის პრევენციის გზებზე; • ფინანსური განათლების კლუბის ორგანიზებით ფინანსური სამაგიდო თამაშების ფესტივალის მოწყობა: „ფინანსური ასოციაციობანა"; „გამოცანი სიტყვა"; „ბინგო"; „ფულის ისტორია" • ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში ფინანსური განათლების კლუბის ვიზიტის დაგეგმვა საქართველოს ეროვნულ ბანკში. • კვირის " ფინანსური რჩევის" კუთხის შექმნა სკოლის საინფორმაციო დაფაზე • ფინანსური განათლების ვიქტორინის ორგანიზება
მიზნობრივი სეგმენტი (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები; მშობლები; მასწავლებლები
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა. ფინანსური წიგნიერების კლუბის შექმნა (15.09.2026-15.06.2027)
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	ფინანსური წიგნიერების კლუბს ვუხელმძღვანელებ თავად, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად, რომლებთან თანამშრომლობითაც დავგეგმავ და განვახორციელებ აქტივობებს საკლუბო მუშაობის ფარგლებში. ასევე საჭიროებისამებრ ვითანამშრომლებ სკოლის დირექციასთან/ადმინისტარციასთან და სკოლის სხვა პედაგოგებთან საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით; თანატოლგანამანათლებლობის პრინციპით გაკვეთილების დასაგეგმად.
პროექტის/აქტივობის აღწერა (რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა) (მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს	მიმდინარე სასწავლო წელს არაერთი აქტივობა განვახორციელე ფინანსური წიგნიერების ფარგლებში, „ფინედუს"რესურსების გამოყენებით, მე-9 კლასის მოსწავლეებთან მოქალაქეობის სავალდებულო თემის ეკონომიკისა და სახელმწიფოს ფარგლებში, აგრეთვე მე-11 კლასის მოსწავლეებთან სამოქალაქო გაანთლების პროექტული სწავლების გარგლებში, სადაც მოსწავლეებს თემად შერჩეული ჰქონდათ ფინანსური წიგნიერება, აგრეთვე ვიყავი ფინედუს დესპანი ორჯერ და აქედან ერთხელ მოვხვდი 30 გამარჯვებულ პედაგოგს შორის, განვახორციელე არაერთი აქტივობა ფულის ფინანსური კვირეულის ფარგლებში და მუშაობის

გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)	პროცესში რამდენჯერმე აღმოვაჩინე, რომ გაცილებით ეფექტური იქნებოდა ფინანსური წიგნიერების კლუბის მუშაობა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეებში არსებობს დიდი ინტერესი ფინანსური წიგნიერებისადმი, საკლუბო მუშაობის ფარგლებში შევძლებთ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გავანხორციელოთ აქტივობები და გარდა სავალდებულო თემებისა და ფორმალური განათლებისა, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც გავააქტიურთთ ფინანსური წიგნიერების თემა, რაც იქნება ხანგრძლივი და მდგრადი, აქტივობების ორგანიზებას კი შევძლებთ უფრო მარტივი და ეფექტური გზით, კლუბის წევრები შეძლებენ თანამშრომლობას სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთანაც. ფინანსური წიგნიერების კლუბის ფარგლებში მთავარი აქცენტი გვექნება ციფრულ გარემოში უსაფრთხოებაზე, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გაეცნობიან: • ინფორმაციის სანდოობის გადამოწმებსი გზებს; • ფინანსური თაღლითობის პრევენციის გზებს; • პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობას; • მომხმარებელთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს; ასევე დაგეგმილი აქტივობების ამოცანა იქნება: • მოსწავლეებში პირადი ფინანსების მართვის უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; • მოსწავლეებში საკუთარი ფინანსების დაცვისა და დაზოგვის მნიშვნელობის გაანალიზება და ფინანსების სწორად განკარგვის უნარის ჩამოყალიბება; • მოსწავლეების მიერ საკუთარი ფინანსური უსაფრთხოებისა და მდგრადობის აუცილებლობის გაანალიზება. ფინანსური განათლების კლუბი მოსწავლეებს განუვითარებს ფინანსური წიგნიერების, ციფრული ფინანსური უსაფრთხოებისა და პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევის უნარებს. პროექტი ორიენტირებული იქნება როგორც ფინანსური განათლების გავრცელებაზე, ასევე ფინანსური თაღლითობის პრევენციის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაზე, რადგან თანამედროვე ფინანსური საქმიანობის დიდი ნაწილი ციფრულ სივრცეში ხორციელდება — ონლაინ გადახდები, ინტერნეტბანკი, მობილური აპლიკაციები, ელექტრონული გადახდები და სხვა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან უსაფრთხო ფინანსური ქცევის ძირითად პრინციპებს, ფინანსური თაღლითობის გავრცელებულ ფორმებს, პირადი მონაცემების დაცვის

	მნიშვნელობასა და ონლაინ სივრცეში არსებული საფრთხეების თავიდან აცილების გზებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ციფრულ ფინანსურ უსაფრთხოებას, მათ შორის: ძლიერი პაროლების გამოყენებას, საეჭვო ბმულებისა და შეტყობინებების ამოცნობას, ონლაინ თაღლითობის პრევენციას და პერსონალური ინფორმაციის დაცვას. ფინანსური წიგნიერებისს კლუბი იმუშავებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (15.09.2026-15.06.2027); შეხვედრები ჩატარდება პერიოდულად. თითოეული შეხვედრა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს და მივყვებით წინასწარ შემუშავებული გეგმის ფარგლებში. საჭიროებისამებრ შესაძლებელი იქნება აქტივობების მოდიფიცირება/გადანაცვლება ან დამატება. პროექტის ფარგლებში დაიფარება შემდეგი თემები: ფინანსური წიგნიერების საფუძვლები; ბიუჯეტის დაგეგმვა; დაზოგვის კულტურა; პასუხისმგებლიანი ხარჯვა; ციფრული უსაფრთხოება; ფინანსური თაღლითობის პრევენცია; ციფრული გადახდების უსაფრთხო გამოყენება; პერსონალური მონაცემების დაცვა; რეკლამისა და სოციალური მედიის გავლენა ფინანსურ გადაწყვეტილებებზე. პროექტში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი მეთოდები: დისკუსია; როლური და სიტუაციური თამაშები; სამაგიდო თამაშები; ვიქტორინები; ჯგუფური მუშაობა; პრეზენტაციები; ქეისების ანალიზი; თანატოლგანმანათლებლობა; საინფორმაციო კამპანიები.ფინანსური განათლებისა და ფინანსური უსაფრთხოების დაკავშირება განხორციელდება რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით. მოსწავლეები იმსჯელებენ, როგორ შეიძლება დაიცვან საკუთარი ფინანსები ციფრულ სივრცეში. პროექტში ჩაერთვებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სავარაუდოდ, კლუბში მონაწილეობას მიიღებს 20–25 მოსწავლე, ხოლო სხვადასხვა საინფორმაციო აქტივობითა და შეხვედრებით პროექტი მოიცავს მთლიან სასკოლო საზოგადოებასაც, ვფიქრობ მინიმუმ 150-200 მოსწავლის ჩართვა იქნება შესაძლებელი, ასევე ჩაერთვებიან პედაგოგებიც და მშობლებიც.

პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი (მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)	პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მოსალოდნელი შედეგი იქნება, რომ მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას ფინანსების მართვის, დაზოგვისა და ფინანსური თაღლითობისგან თავის დაღწევის შესახებ; ჩამოუყალიბდებათ პირადი ფინანსების მართვის უნარები; გააანალიზებენ ფინანსების დაცვისა და დაზოგვის მდგრადობის მნიშვნელობას; ხელი შეეწყობა მათ ფინანსურად წიგნიერ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. პროექტის წარმატება შეფასდება როგორც მოსწავლეთა ჩართულობის, ისე მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიხედვით. შედეგების გაზომვა განხორციელდება შემდეგი მეთოდებით: • პროექტის დასაწყისსა და დასასრულს მოსწავლეების მიერ კითხვარის შევსება; • შეხვედრებსა და აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობის აღრიცხვა; • მოსწავლეების მიერ შექმნილი პრაქტიკული ნამუშევრების შეფასება (პოსტერები, ბუკლეტები, პრეზენტაციები); • დისკუსიებსა და გუნდურ აქტივობებში ჩართულობის დაკვირვება; • ფინანსური უსაფრთხოების საკითხზე მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად გაზიარებისა და გამოყენების შეფასება; • თანატოლგანმანათლებლობის შეხვედრების შედეგების ანალიზი.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას	ფინანსური წიგნიერების კლუბი მუშაობას დაიწყებს 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებისთანავე, 15 სექტმებრიდან, შევიმუშავებ კლუბის წესდებას; მოვიწვევ მოსწავლეებს, რომელთა ჩართულობითაც შევარჩევთ კლუბის სახელს, განვიხილავთ აქტივობებს, რომლებსაც ერთობლივად განვახორციელებთ ეტაპობრივად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.